

**პოლ ლუკა (Paul Lucas, 1664-1737)** - ფრანგი მოგზაური და ვაჭარი, რომელმაც არაერთხელ იმოგზაურა აღმოსავლეთის ქვეყნებში. მისი ნაშრომებიდან გამოირჩევა 1704 წელს პარიზში გამოცემული ორტომიანი ნაშრომი: „სერ პოლ ლუკასის მოგზაურობა აღმოსავლეთში“.<sup>1</sup> მის ჩანაწერებში თავმოყრილია არაერთი ღირებული ცნობა აღმოსავლეთის ხალხების შესახებ, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სომხეთისა და სომეხი ხალხის შესახებ ცნობებს.

### **სომხეთის შესახებ:**

« La ville d'Erivan est tout le quarante à quarante-un degré. L'air y est fort bon, mais un peu épais et fort froid. L'hiver y est long et l'on m'a dit qu'il y neigeait quelquefois au mois de Mai, c'est ce que fait que l'on enterre les vignes tout l'hiver de peur qu'elles ne gèlent. Les vivres en ce pays sont à très-bon marché; la viande, le pain et le vin n'y coutent presque rien... On y mange aussi entre autres de bonnes fruites et de bonnes carpes. Un gros poisson qui avait près de deux pieds...L'on me dit qu'on prenait ces sortes de poissons dans un grand lac, dont on aurait de la peine de faire le tour en quatre journées. Ce lac est éloigné de la ville d'environ dix ou douze heures de chemin de coté du Nord. On m'a dit de plus que dans une ile au milieu du lac, dont je viens de parler, il y a un Convent d'Arméniens qui a son Patriarche particulier qui ne reconnait point pour son Supérieur celui d'Etchmiadzine... C'est que ce pays est très agréable; la terre y produit de tout en abondance, des fruits qui u font à grand marché et d'excellent vin rouge et blanc de même. Aussi les Arméniens croient-ils que ce soit le lieu où Noé planta la vigne, ils en montrent même le champ et disent encore de plus, que c'est le Paradis terrestre. »<sup>2</sup>

„ქალაქი ერევანი მეორმოცე და ორმოცდამეერთე პარალელს შორის მდებარეობს. ჰაერი იქ საკმაოდ კარგია, მაგრამ ცოტა მშრალია და ძალიან ცივი. ზამთარი

---

<sup>1</sup> Paul Lucas, *Voyage du Sieur paul Lucas au Levant : On y trouvera entr'autre une description de la haute Egypte, suivant le cours du Nil, depuis le Caire jusques aux Cataractes, avec une Carte exacte de ce fleuve, que personne n'avoit donné.* Paris, Guillaume Vandive, 1704; 2 vol.

<sup>2</sup> Ibid, 17-18. Vol.2

გრძელდა და მითხრეს, რომ ზოგჯერ მაისშიც თოვს, ამიტომაც მარხავენ ვაზს ზამთრის განმავლობაში მიწაში, რომ არ გაიყინოს. ამ ქვეყანაში სურსათი ძალიან იაფია: განსაკუთრებით ხორცი, პური და ღვინო... სხვადასხვა საკვებთან ერთად აქ კარგი ხილი და ჭანარია, რომელიც დიდი თევზია და თითქმის ორ ფუტია სიგრძეში... მითხრეს, რომ ამ სახეობის თევზს იჭერენ დიდ ტბაში, რომლის გარშემო შემოვლასაც ძნელად თუ ეყოფოდა ოთხი დღე. ეს ტბა ქალაქიდან ათი-თორმეტი საათის გზაზეა ჩრდილოეთის მხრიდან. ისიც მითხრეს, რომ ამ ტბის შუაგულში მდებარე კუნძულზე სომეხთა მონასტერია, რომელსაც თავისი პატრიარქი ჰყავს და რომელიც არ ცნობს ეჩმიაწმინის [ინსტიტუციურ] უზენაესობას... ეს ძალიან სასიამოვნოა ქვეყანაა, სადაც ნიადაგი ყველაფერს უხვად იძლევა, ხილი იაფია და ასევე შესანიშნავი წითელი და თეთრი ღვინოც არის. ამიტომ, სომეხებს სწამთ, რომ ეს ის ადგილია, სადაც ნოემ ვაზი დარგო, ისინი იმ ადგილზეც მიუთითებენ და დასძენენ, რომ ეს ქვეყანა მიწიერი სამოთხეა.“

•

« Les Arméniens font mille contes de cette montagne et disent que jamais personne n'a pu monter jusqu'au lieu où s'arrêta l'Arche, ils croient même qu'elle y est encore. Un Moine, disent-ils nommé Jacques, eut une si grande dévotion d'aller voir le lieu où est l'Arche, qu'il se mit en chemin pour cela, avec la résolution d'y mourir ou d'y arriver. Il ne se munit que d'un sac de pain et d'une bouteille d'eau de vie. Après avoir monté toute une journée, il fallut se reposer et dormir la nuit. Le lendemain il se retrouva presque au bas de la montagne. Il persista néanmoins plusieurs jours à vouloir monter plus haut, mais il avait beau faire, à peine était-il arrivé à la moitié du chemin qu'il était reporté en bas. Comme il faisait de fortes prières pour obtenir de venir à bout de son dessein, le Ciel eut pitié de ce pauvre Moine. Dieu lui envoya un Ange qui lui commanda de sa part de ne se plus fatiguer et lui donna une pièce du bois de l'Arche pour le récompenser de sa peine. L'Ange ajouta, que Dieu avait dit qu'aucun homme ne montrait jamais au sommet de la montagne et disparut;

ainsi le Moine redescendit et fut au Convent faire le récit de toute ce qu'il avait vu, ce qui le fit prendre pour un Saint et le fit élever à l'Épiscopat. »<sup>3</sup>

„სომხებს უამრავი გადმოცემა აქვთ ამ მთაზე [არარატის მთა] და ამბობენ, რომ დღემდე ვერავინ შეძლო იმ ადგილამდე ასვლა, სადაც კიდობანია დავანებული; მათ იმისიც კი სჯერათ, რომ ის ჯერ კიდევ იქ არის დავანებული. ისინი ჰყვებიან ერთი ბერის, სახელად ჟაკის შესახებ, რომელსაც მთელი გულით უნდოდა იმ ადგილის ნახვა, სადაც კიდობანია დავანებული, რომ ამ მიზნის მისაღწევად მან გადაწყვიტა ნებისმიერ ფასად დაელაშქრა ეს მთა. საგზლად მხოლოდ ერთი პური და ერთი ბოთლი კონიაკი წაიღო. მთელი დღის სიარულის შემდეგ მას დასვენება და ძილი მოუწია. მეორე დღეს, გაღვიძებისას აღმოაჩინა, რომ ის ისევ მთის ძირში იყო. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ამაოდ აგრძელებდა ასვლას და ყოველ ჯერზე, როდესაც შუამდეც კი არ ჰქონდა მიღწეული, იგი კვლავ უკან [მთის ძირში] აღმოჩნდებოდა. ხოლო მას შემდეგ, რაც მან გულმოდგინედ დაიწყო ლოცვა და უფალს მის მისიაში დახმარება შესთხოვა, უფალმა მოწყალება გამოიჩინა და მას ანგელოზი გაუგზავნა, რომელმაც მას უბრძანა, შეეწყვიტა თავის ამაოდ დაღლა და მას, მისი ძალისხმევის დასაფასებლად, კიდობნიდან ამოკვეთილი ხის ნაჭერი უბოძა. ანგელოზმა დაამატა, რომ ღმერთის განჩინების შესაბამისად, არავინ უნდა ასულიყო მთის მწვერვალზე და შემდეგ გაუჩინარდა. ამგვარად, ბერი ჩამოვიდა და დაბრუნდა მონასტერში, რათა მოეთხრო ყველაფერი, რაც თავს გადახდა, რამაც განაპირობა მისი წმინდანად შერაცხვა და ეპისკოპოსის ხარისხში ამაღლება.“

მთარგმნელი გ. ფერაძე

*ქვეყნდება პირველად*


---

<sup>3</sup> Ibid, 22-23. Vol.2

**VOYAGE**  
DU SIEUR  
**PAUL LUCAS**  
**AU LEVANT.**

On y trouvera entr'autre une description de la haute Egypte, suivant le cours du Nil, depuis le Caire jusques aux Cataractes, avec une Carte exacte de ce fleuve, que personne n'avoit donnée.

PREMIER VOLUME.



A PARIS, A2 5801

Chez GUILLAUME VANDIVE, Imprimeur  
& Libraire ordinaire de Monseigneur le Dauphin,  
rue S. Jacques, au Dauphin couronné.

M. DCCIV.

*Avec Privilège & Approbation.*

**VOYAGE**  
DU SIEUR  
**PAUL LUCAS**  
**AU LEVANT.**

On y verra le recit de l'entreprise violente du Pacha de Babylone contre les Sujets du Roy, l'établissement des Missionnaires Capucins en cette Ville, & l'histoire du jeune Paleologue.

SECOND VOLUME.



A PARIS, A2 5801

Chez GUILLAUME VANDIVE, Imprimeur  
& Libraire ordinaire de Monseigneur le Dauphin,  
rue S. Jacques, au Dauphin couronné.

M. DCCIV.

*Avec Privilège & Approbation.*